

საქრუსენერგო
სს ბაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა
SAKRUSENERGO
JSC UNITED ENERGY SYSTEM



500კვ ეგზ „კაკასიონის“ №223-№226 საყრდენებს შორის
არსებული №225 კუთხური საანკერო საყრდენის
ბაგირული ზილით შეცვლა

მუშა პროექტის აღღბენა-გაღამუშავება

ინვ. №009 ტ1

დირექტორი
Director

ბ. სულაძე
B. Suladze

თბილისი 2024
Tbilisi 2024

სს გეს „საქრუსენერგო“

500 კვ ებს “კავკასიონის” №223-№226 საჟღერებს შორის

არსებული №225 კუთხური საანკერო საჟღერის

გაბირული ხილით შეცვლა

მუშა პროექტის აღბენა-გაღამუშავება

განმარტებითი გარათი

ტომი I

თბილისი 2024

შეფასება

№	დოკუმენტაციის დასახელება	ტომი №	შენიშვნა
1.	500კვ ეგზ „კავკასიონის“ №225 ბაგირული დაკიდების პროექტის განმარტებითი ბარათი და ტექნოლოგიური ნაწილის ნახაზები	I	
2.	მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია	II	
3.	მუშა ნახაზები	III	
4.	შეკვეთების სპეციფიკაცია		
5.	დროებითი მისასვლელი გზის გაწმენდა- აღდგენითი სამუშაოები		

შინაარსი

თავი 1. შესავალი

თავი 2. საერთო ნაწილი

თავი 3. საპროექტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები

3.1. ტექნოლოგიური ნაწილი

3.2. სამშენებლო ნაწილი

3.3. მექანიკური ნაწილი

თავი 4. ელექტროგადამცემი ხაზის პარამეტრების ანგარიში

თავი 5. მზიდი ბაგირების შემოწმებითი ანგარიში

თავი 6. ბაგირების კლდეში ჩამაგრების ანკერების ანგარიში

თავი 7. 500 კვ ეგხ „კავკასიონი“-ს №225 საყრდენის ბაგირული დაკიდებით

შეცვლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩატარების ტექნოლოგია

თავი 8. შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები

დანართები

თავი 1. შესავალი

500 კვ ელექტროგადამცემი ხაზი „კავკასიონი“ უნიკალური საინჟინრო ნაგებობაა, რომელსაც ქვეყნის ენერგომომარაგებისა და უსაფრთხოებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი ენგურჰესიდან მდინარეების ენგურის, ნაკრას, კოდორის, კლიჩის და ყუბანის ხეობებით ჰკვეთს ხიდასა და ნახარის უღელტეხილებს, გადაივლის ყარაჩაევო-ჩერქეზეთისა და ადიღეის რესპუბლიკების ტერიტორიებს და კრასნოდარის მხარეში ქვესადგურ „ცენტრალნაიას“ უერთდება.

ელექტროგადამცემი ხაზის სიგრძე 405 კმ-ია და მოიცავს 987 საყრდენს. საქართველოს ტერიტორიაზე გადამცემი ხაზის სიგრძე „ენგურჰესიდან“ ნახარის უღელტეხილამდე 105 კმ-ია და მოიცავს 232 საყრდენს, ექსპლუატაციაში შევიდა 1984 წელს. ეგხ-ს ზღვრული დატვირთვაა 900 მგვტ. კოდორის ხეობაში იგი გადადის კავკასიონის მთავარ ქედზე. ტრასის რთული რელიეფის გამო მისი ექსპლუატაცია და რემონტი, განსაკუთრებით ზამთრის პირობებში მეტად გაძნელებულია. ეგხ-ს ავარიული გამორთვა იწვევს საქართველოს ენერგოსისტემის მდგრადობისა და ელექტროენერგიის ხარისხის გაუარესებას. ჯერჯერობით 500 კვ ეგხ „კავკასიონი“ წარმოადგენს უალტერნატივო, ერთადერთ ელექტროგადამცემ ხაზს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ზაფხულში საქართველოს ჰიდროელექტროსადგურებზე გამომუშავებული ჭარბი ელექტროენერგიის რუსეთში გატანა, ხოლო ზამთარში რუსეთიდან დეფიციტის შევსება. იგი ასევე გამოიყენება, როგორც სატრანზიტო ელექტროგადამცემი ხაზი საქართველოს სხვა მეზობელ ქვეყნებში ელექტროენერგიის გასატანად. 500 კვ ეგხ „კავკასიონი“ წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ ობიექტს, რომლის გამართული მუშაობა მნიშვნელოვანია ქვეყნის ენერგოსისტემის მდგრადობისათვის.

კავკასიონის მთავარ ქედზე უმკაცრეს კლიმატურ და ურთულეს რელიეფურ პირობებში გამავალი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის სადენები და საყრდენები ყოველ ზამთარს შემოყინვისა თუ თოვლის ზვავების გამო სერიოზულად ზიანდებოდა და მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა საქართველოს ენერგოსისტემისთვის. ორი-სამი ათასი მეტრის სიმაღლიდან დაქანებული თოვლის ზვავის ხელოვნური ბარიერებით შეჩერება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. იყო შემთხვევები, როცა ნახარის უღელტეხილის მიდამოებში გამავალ 500 კვ ეგხ „კავკასიონის“ საყრდენებს ერთსა და იმავე ზონაში, წლის განმავლობაში რამდენჯერმე აქცევდა ზვავი. ზვავსაწინააღმდეგო ნაგებობები, რომლებსაც აგებდნენ საყრდენების დასაცავად თოვლის ზვავის პირველივე დარტყმის შედეგად ნადგურდებოდა. ამ ზონაში საყრდენების განსათავსებლად უფრო უსაფრთხო ადგილის პოვნა ფაქტობრივად შეუძლებელი აღმოჩნდა (იხ. დანართი, 2005 წლის 8 ივნისის სადეფექტო აქტი და 2005 წლის 24 მარტის ოქმი).

აქედან გამომდინარე მიღებული იქნა გადაწყვეტილება ზვავსაშიშ ზონებში საყრდენების ნაცვლად კლდეებს შორის გაჭიმულ ბაგირებზე სადენების ჩამოკიდების თაობაზე.

ელექტროსადენების ბაგირზე დაკიდების იდეა ახალი არ არის, იგი აქამდე გამოყენებული იყო მხოლოდ 35 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზებისათვის, კერძოდ: ხევში, რაჭაში, თუშეთში, იმერეთსა და აჭარაში, თუმცა 500 კვ ეგხ-ის დაკიდება ბაგირებზე იყო უპრეცედენტო და არ არსებობდა ანალოგი და იგი პირველად განხორციელდა საქართველოს ტერიტორიის მდ. კოდორის ხეობაში გამავალ 500 კვ ეგხ „კავკასიონზე“, კერძოდ:

1. 2005 წელს შესრულდა №224 Y2(C2) ტიპის კუთხური საყრდენის “A”, “B” და “C” ფაზების ბაგირულ სისტემაზე დაკიდების საპროექტო, სადემონტაჟო და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.
2. 2007 წელს შესრულდა №220 Y2(C2) ტიპის კუთხური საყრდენის ორი დგარის “A” და “B” ფაზების კლდეზე მიკიდების საპროექტო, სადემონტაჟო და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.
3. 2007-2008 წლებში შესრულდა №225 Y2(C2) ტიპის კუთხური საყრდენის “A”, “B” და “C” ფაზების სადენების ბაგირულ სისტემაზე დაკიდების საპროექტო სამუშაოები და კლდეებში (მდ. კლიჩის ორივე მხარეს) ანკერების ჩამაგრების სამშენებლო სამუშაოები. რაც შეეხება სადემონტაჟო (სადენების და №225 საყრდენის) და სამონტაჟო (ბაგირების, ტრავერსების, იზოლაცია-არმატურის და სადენების) სამუშაოებს, ისინი ვერ შესრულდა.
4. 2020 წელს მოხდა №225 Y2(C2) ტიპის ორი დგარის გამაგრება ბაგირული საჭიმარებით, მაგრამ მიუხედავად ამისა ფუნდამენტების მდგრადობის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის და აუცილებლად საჭიროა №225 საყრდენის ბაგირული დაკიდებით შეცვლის სამუშაოების დასრულება.

მდ. კოდორის ხეობაში, ურთულეს გეოგრაფიულ და მეტეოროლოგიურ პირობებში გამავალი 500 კვ ეგხ „კავკასიონი“-ს №225 საყრდენის ბაგირული სისტემით შეცვლის პროექტი შესრულდა 2007 წელს. საპროექტო სამუშაოები შეასრულა შპს „ენერგოქსელპროექტმა“. პროექტის განხორციელება დაიწყო 2008 წლის ივნისში და შეწყდა 2008 წლის აგვისტოში. აღნიშნულ პერიოდში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

1. მდ. კლიჩის ორივე მხარეს გაკეთდა ანკერების ჩამაგრების ადგილამდე მისასვლელი დროებითი საფეხმავლო ბილიკები.
2. კლდეების ფერდებზე ანკერების ჩამაგრების სამუშაოებისათვის გაკეთდა ორ-ორი მოედანი.
3. მოედნებზე ჯერ ერთ შემდეგ მეორე მხარეს საბურღი აგრეგატი დაშლილ მდგომარეობაში ხელით იქნა ატანილი და დამონტაჟებული.

4. მოედნებზე, ბურღის გასაცემლად, პლასტმასის მილებით თვითდინებით მიყვანილი იქნა წყალი.
5. დაიბურღა თითოეული ფერდი 12 (6+6) ადგილზე.
6. სამონტაჟო მოედნებზე, ანკერების, ღუზების, მწევარების და მხრეულების ატანა და დამონტაჟება მოხდა ხელით.
7. მოხდა დასამონტაჟებელი ექვსივე ბაგირის გაშლა, არსებულ სამანქანო გზაზე.
8. მიტანილი იქნა გირლანდების დამკავი სამი კუთხოვანა და ორი ბალანსირი.

დღეს გვაქვს შემდეგი მდგომარეობა:

1. ადგილზე არსებული ბაგირები დაზიანებული, დაჟანგული და უვარგისია გამოსაყენებლად.
2. ადგილზე აღარ იძებნება კუთხოვანები, ბალანსირები და ბაგირის ქუროები.
3. დაკარგულია ტექნიკური დოკუმენტაცია (საპროექტო-საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის ერთი ეგზემპლარი, დამკვეთისაგან გადაცემული ჰქონდა შემსრულებელს, ხოლო მეორე დამკვეთს ზედამხედველობის განხორციელების მიზნით, რომლებიც დარჩა კოდირის ხეობაში და ბუნებრივია დაიკარგა. დედნები ინახებოდა შპს „ენერგოქსელპროექტი“-ს არქივში, რომელიც შემდეგ არეულ მდგომარეობაში ჩაბარდა ეროვნულ არქივს და არ იძებნება). იმისათვის, რომ დასრულდეს №225 Y2(C2) ტიპის კუთხური საყრდენის ბაგირული სისტემით შეცვლის სამუშაოები საჭიროა საპროექტო-საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის აღდგენა. ამისათვის 2021 წელს შესრულდა დამონტაჟებული კონსტრუქციების და ელემენტების აზომვითი სამუშაოების ჩატარება და ესკიზების შედგენა, რომლის საფუძველზედაც 2022 წელს შესრულდა საკონსტრუქციო დოკუმენტაციის აღდგენა-გადამუშავება.

2023 წლის ბოლოსათვის დამთავრდა:

1. №225 საყრდენის ბაგირული დაკიდებით შეცვლის საპროექტო დოკუმენტაციის აღდგენა და გადამუშავება.
2. №219 საყრდენიდან №226 საყრდენამდე არსებული დროებითი მისასვლელი გზის გაწმენდა-აღდგენითი სამუშაოების პროექტის შედგენა, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე პროექტის შემადგენელ ნაწილს.

სამუშაოს ჩატარების მიზანია 500 კვ ეგზ-ის „კავკასიონის“ აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩატარება, კერძოდ ეგზ-ის №225 საყრდენზე

სადენების დაკიდების შეცვლა მზიდ ბაგირებზე დაკიდებით, რაც განსახორციელებელია შემდეგი თანმიმდევრობით: მდ. კლიჩის, როგორც მარცხენა ისე მარჯვენა მხარეს არსებულ კლდის ფერდებზე უნდა გაკეთდეს ორ-ორი მოედანი (მოედნის ზომებია: სიგრძე 6 მ, სიგანე 2 მ, მანძილი მოედნებს შორის 1,9 მ).

თითოეული მოედნის თავზე, ჰორიზონტალური მიმართულებით, ორ-ორი მეტრის დაშორებით, კლდე იბურდება სამ ადგილას (ჩაბურვლის სიღრმე 2,9 მ, ხოლო დიამეტრი 0,095 მ). ნახვრეტებში მაგრდება ანკერები (ანკერის სიგრძე 3,4 მ, ხოლო დიამეტრი 0,056 მ). ვერტიკალურ სიბრტყეში მდებარე ორ-ორი ანკერის თავზე მონტაჟდება თითო საანკერე ღუზა (საანკერე ღუზის ნახვრეტებს შორის მანძილი 2 მ-ია). ღუზას სახსრულად, მწევარას საშუალებით, უკავშირდება მხრეული, ხოლო ამ უკანასკნელს ასევე სახსრულად უერთდება ორ-ორი ბოლო ქურო მზიდი ბაგირების ბოლოების ჩასამაგრებლად. საანკერე ღუზებს შორის თითო მეტრის დაცილებით იჭიმება ექვსი ბაგირი (ბაგირის დიამეტრია 22,5 მმ). მზიდ ბაგირებზე ერთმანეთისაგან დაშორებით იდება და მაგრდება სამი ტრავერსი. ტრავერსებს შორის მანძილის შესანარჩუნებლად და ტრავერსის ჩამოცურების საწინააღმდეგოდ ტრავერსები ბაგირებზე მაგრდება მომჭერებით. ეგზ-ის კუთხური დაკიდება ტრავერსებზე ხორციელდება სახაზო არმატურის საშუალებით.

სამუშაოები რომლებიც შესრულდა 2008 წლის ივნისში, ივლისში და აგვისტოში შემდეგია:

ა) ლითონკონსტრუქციებისა და მოწყობილობების დამზადება.

მოწყობილობების (ანკერები, სახაზო ქუროები, ბოლო ქუროები და მომჭერები) და ლითონკონსტრუქციების (საანკერე ღუზები, მხრეულები, ტრავერსები და ბალანსირები) დამზადება მოხდა „თბილავიამშენში“, საკონსტრუქციო დოკუმენტაციის მოთხოვნების სრული დაცვით.

ბ) სამშენებლო, სამონტაჟო და გაწყობითი სამუშაოები:

1. მდ. კლიჩის მარცხენა სანაპიროზე 1744,66 და 1741,66 ნიშნულებზე გაკეთდა ორი მოედანი. მოედნის სიგრძემ შეადგინა 6 მეტრი, სიგანემ 2 მეტრი.
2. მოედნებიდან 750 მეტრის დაშორებით მდებარე ხევიდან თვითდინებით 50 მმ-იანი პლასტმასის მილით მოყვანილი იქნა წყალი საბურღი აგრეგატის ბურღის გასაცემლად.
3. მოედნებზე მუშა-ტექნიკური პერსონალის ასასვლელად მოეწყო საცალფეხო ბილიკები.
4. კლდის ზედაპირების დამუშავების შემდეგ მოხდა გასაბურღ ადგილებზე წერტილების დასმა. დამუშავებული ზედაპირის დახრამ ჰორიზონტთან შეადგინა 65°

5. საბურღი აგრეგატი, დაშლილ მდგომარეობაში, სპეციალური ბაგირული მოწყობილობით, ჯერ ატანილი იქნა ზედა მოედანზე და მოხდა ზედა სამი ხვრელის გაკეთება, ხოლო შემდეგ ჩამოტანილი იქნა ქვედა მოედანზე და მოხდა ქვედა სამი ხვრელის გაკეთება.

საბურღი აგრეგატის ბურღის ღერძის დახრამ კლდის დამუშავებული

ზედაპირების მიმართ შეადგინა 25°

ხვრელებს შორის მანძილი ჰორიზონტალური მიმართულებით ტოლია 2 მეტრის, ხოლო ვერტიკალური მიმართულებით 1,82 მეტრის. ხვრელის სიღრმემ შეადგინა 2,9 მეტრი, ხოლო დიამეტრმა 96 მმ.

6. მდ. კლიჩის მარჯვენა სანაპიროზე 1669,66 და 1666,66 ნიშნულებზე გაკეთდა ორი მოედანი. მოედნის სიგრძემ შეადგინა 6 მეტრი, სიგანემ 2,2 მეტრი.
7. მოედნებიდან 450 და 650 მეტრის დაშორებით მდებარე ხევებიდან თვითდინებით 50 მმ-იანი პლასტმასის მილით მოყვანილი იქნა წყალი საბურღი აგრეგატის ბურღის გასაცემლად.
8. მოედნებზე მუშა-ტექნიკური პერსონალის ასასვლელად მოეწყო საცალფეხო ბილიკები.
9. კლდის ზედაპირების დამუშავების შემდეგ მოხდა გასაბურღ ადგილებზე წერტილების დასმა. დამუშავებული ზედაპირის დახრამ ჰორიზონტთან შეადგინა 80°

10. საბურღი აგრეგატი, დაშლილ მდგომარეობაში, სპეციალური ბაგირული მოწყობილობით, ჯერ ატანილი იქნა ზედა მოედანზე და მოხდა სამი ხვრელის გაკეთება, ხოლო შემდეგ ჩამოტანილი იქნა ქვედა მოედანზე და ასევე მოხდა სამი ხვრელის გაკეთება.

საბურღი აგრეგატის ღერძის დახრამ კლდის დამუშავებული ზედაპირის მიმართ შეადგინა 10° . ხვრელებს შორის მანძილი ჰორიზონტალური მიმართულებით 2 მეტრია, ხოლო ვერტიკალური მიმართულებით 1,96 მეტრი. ხვრელების სიღრმე 2,9 მ, ხოლო დიამეტრი 96 მმ.

11. კლდის ნახვრეტებში ანკერების ჩასმა მოხდა მის აწყობილ მდგომარეობაში. ჩასმის შემდეგ მექანიკური ძალის ზემოქმედებით ანკერი კლდის ქანში იჭედება ისე, რომ ნახვრეტისა და ანკერის წრეხაზები კონცენტრირებულები დარჩნენ. ამის შემდეგ სიცარიელის შევსება მოხდა ცემენტის ხსნარით. ანკერის ხრახნიანი ნაწილის სიგრძემ კლდის ზედაპირიდან საშუალოდ შეადგინა 45 სმ, რაც სავსებით მისაღებია.
12. წყვილ-წყვილად ვერტიკალურ სიბრტყეში მდებარე ანკერების თავზე ეცმევა და ქანჩების საშუალებით მაგრდება საანკერე ღუზები (სამ-სამი მარცხენა და მარჯვენა სანაპიროზე). საანკერე ღუზას მწვეარას საშუალებით სახსრულად ვუკავშირებთ მხრეულს, ხოლო ამ უკანასკნელს ასევე სახსრულად ვუკავშირებთ ორ ბოლო ქუროს მზიდი ბაგირების ბოლოების ჩასამაგრებლად. ამით 2008 წლის აგვისტოს დამთავრდა სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები კლდეებზე მდ. კლიჩის ორივე მხარეს.

2018 წლის ივნისში მდ. კლიჩის ხეობაში მყინვარების დნობამ გამოიწვია მდ. აჭაფარას ჩახერგვა და დაგუბება. გარკვეული დონის მიღწევის შემდეგ დაგუბებულმა წყალმა მყინვარებისაგან შექმნილი ჯებირი გაარღვია, ამოყარა მდინარის კალაპოტში არსებული ქვის უზარმაზარი ლოდები და 15 მეტრის სიმაღლეზე და 175 მეტრის სიგრძეზე დაფარა სამხრეთის თავშესაფარის წინ გამავალი გზის მონაკვეთი (ერთ-ერთი გრანიტის ლოდის წონა, რომელიც დაზიანებული გზის დასაწყისშია დაახლოებით შეადგენს 230 ტონას).

N225 კუთხური საანკერო ანძის ბაგირული დაკიდებით შეცვლის სამუშაოების განხორციელებისათვის (დაწყებული სამშენებლო სამუშაოების დასრულებისათვის) აუცილებელია მძიმე და სპეცტექნიკის გამოყენება, რაც ეგხ-ს N219 ანძიდან (სამხრეთის თავშესაფარი) N226 ანძამდე არსებული, დროებითი მისასვლელი გზების გაწმენდისა და აღდგენის გარეშე შეუძლებელი იქნება. 500 კვ ეგხ „კავკასიონის“ №219 ანძიდან №226 ანძამდე აღნიშნული მისასვლელი გზის მთლიანი სიგრძე შეადგენს 4,6 კმ-ს, საიდანაც გამოიკვეთა განსაკუთრებული სირთულის მქონე 14 მონაკვეთი (რომელიც დაფარულია ქვების უზარმაზარი ლოდებით), ჯამური სიგრძით 931 გრძივი მეტრი. გარდა ამისა, პროექტით გათვალისწინებულია საფონე გადასასვლელებისა და დროებითი ასაქცევი გზების მოწყობა მძიმე ტექნიკის გადაადგილებისას გვერდის უსაფრთხოდ აქცევისათვის.

თავი 2. სამართო ნაწილი

სამუშაოს ჩატარების მიზანია 500 კვ ეგხ „კავკასიონის“ N223-N226 საყრდენებს შორის უბნის რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩატარება.

დამუშავებულია საპროექტო-საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის 500 კვ ეგხ „კავკასიონის“ N223 და N226 საყრდენებს შორის უბნის რეკონსტრუქციის სამუშაოების მუშა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს N225 საყრდენის ბაგირული დაკიდებით შეცვლას.

დაკიდების კონსტრუქცია შედგება მდ. კლიჩის ნაპირებს შორის დაჭიმული 6 ფოლადის ბაგირისაგან ($\varnothing 22,5$ მმ), რომელთა ბოლოები დამაგრებულია ბოლო ქუროში, ეს უკანასკნელნი კი საანკერო ღუზების მეშვეობით მონტაჟდებიან 12 გრუნტის ანკერების თავზე. გრუნტის ანკერები გაჭედილი და ჩაბეტონებულია კლდოვან ქანებში.

თავი 3. საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოები

3.1. ტექნოლოგიური ნაწილი

ტოპოგეოდეზიური და გეოლოგიური მონაცემების საფუძველზე დადგინდა შემდეგი: ბაგირების ბოლოები მაგრდება მდ. კლიჩის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროზე არსებული გრანიტის კლდეებში. მდ. კლიჩის მარცხენა სანაპიროზე ბაგირების დაკიდების ნიშნულია 1744,66, ხოლო მარჯვენა 1669,66. სიმაღლეთა სხვაობა ბაგირების ჩამაგრების ბოლოებს შორის 75-მია, ხოლო ჰორიზონტალური მანძილი 648,68 მ. ბაგირების ღერძი გადის არსებული 226-ე საყრდენიდან მდ. კლიჩის მიმართულებით 655,6 მ-ის დაშორებით. ეგხ-ის ბაგირებზე დაკიდების მინიმალური ნიშნული შეადგენს 1634,4. მინიმალური მანძილი ეგხ-ის დაკიდების წერტილსა და მიწის ზედაპირს შორის 114,25 მ-ის ფარგლებშია. ბაგირების რაოდენობა, რომლებზედაც ხდება ეგხ-ის სადენების დაკიდება, შეადგენს 6-ს. ბაგირები გაჭიმულია ერთ ჰორიზონტზე. მანძილი ბაგირების ბოლოებს შორის, კლდეებზე ჩამაგრების ადგილას შეადგენს $(1+1+1+1)$ მ-ს, ასევე ეგხ-ის ბაგირებზე ტრავერსით ჩამოკიდების ადგილზე $(1+1+1+1)$ მ-ს. (იხ. სქემა 1).



მზიდი ბაგირის პარამეტრებია:

- დიამეტრი - $d = 22,5$ მმ;
- გრძივი მეტრის წონა - $0,025$ კნ/მ;
- მაქსიმალური დაჭიმულობა - $193,1$ კნ;
- ბაგირის ΓOCT-ია 3064-80.


ბაგირების ჯამური სიგრძე შეადგენს $6 \times 700 = 4200$ მეტრს.

3.2. სამშენებლო ნაწილი




კლდის ქანის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კვლევების გეოლოგიური მონაცემების და ეგხ-ის ელექტრული პარამეტრების საფუძველზე დამუშავდა პროექტის სამშენებლო ნაწილის მუშა-ტექნიკური დოკუმენტაცია, კერძოდ, ბაგირების ბოლოების თითოეულ კლდეზე მიკიდება ხორციელდება 6-6 ანკერის საშუალებით. ანკერების, რომელთა დიამეტრია 56 მმ, კლდეში ჩასმა ხდება კლდის დამუშავებული ზედაპირის მართობულად კლდეში გაკეთებული 95 მმ-იანი დიამეტრის ნახვრეტებში წინასწარი გაჭეპვით მექანიკური ძალის გამოყენებით და შემდეგ საბოლოოდ ხვრელი ივსება ცემენტის ხსნარით.






1. საანკარო მასივი მდ.კლინის მარჯვენა ნაპირზე
2. საანკარო მასივი მდ.კლინის მარცხენა ნაპირზე
3. ანკარი
4. ღუზა
5. მწკრივი
6. მხრეული
7. გოლი ქურო
8. ბაბირი
9. გირლანდის დასამაგრებელი კუთხოვანა
10. მომჭერი
11. გირლანდა
12. გოგოლაჭებიანი დამაკავი საკიდი
13. რკეპვის ჩამქროპი



სქემა 1.



63385 2.



სადავო 3.

- ნახვრეტებს შორის მანძილი ჰორიზონტალური მიმართულებით შეადგენს 2 მ-ს, კლდის დახრის მიმართულებით - 2 მ-ს, ჩაბურღვის სიღრმე - 2,9 მ-ს, ნახვრეტის დიამეტრი - 95მმ-ს, ნახვრეტების რაოდენობა თითოეულ ჰორიზონტზე - 3, ორივე ჰორიზონტზე - 6 (იხ. სქემა 2 და სქემა 3).

3.3. მიქანიკური ნაწილი

3.3.1. დამუშავდა კლდეში ჩასამაგრებელი ანკერების დამზადების მუშა-ტექნიკური დოკუმენტაცია. ანკერი შედგება 7 ელემენტისაგან (იხ სქემა 4).


ანკერის სიგრძე კლდეში 2,9 მ-ია, კლდის ზემოთ - 0,5 მ, ხოლო დიამეტრი - 56 მმ, ანკერების რაოდენობა - 12-ია.

3.3.2. დამუშავდა ბაგირების ბოლოების ანკერებთან დამაკავშირებელი ლითონის საანკერო ღუზის კომპლექტის მუშა-ტექნიკური დოკუმენტაცია. საანკერო ღუზა შედგება 3 ელემენტისგან. (იხ. სქემა 5) საანკერო ღუზების რაოდენობა შეადგენს 6.

3.3.3. დამუშავდა ბაგირების ბოლოების ჩასამაგრებელი ბოლო ქუროების მუშა-ტექნიკური დოკუმენტაცია. ბოლო ქურო შედგება ოთხი ელემენტისგან. (იხ. სქემა 6) ბოლო ქუროების რაოდენობა - 12.


3.3.4. დამუშავდა ბაგირზე გირლანდების დასაკიდებელი ტრავერსას მუშა-ტექნიკური დოკუმენტაცია. ტრავერსა შედგება სამი ელემენტისაგან (იხ. სქემა 7 და სქემა 8.).

3.3.5. შერჩეული იქნა ბაგირებზე სადენების დასაკიდებელი გირლანდა. (იხ. სქემა 9) გირლანდების რაოდენობა შეადგენს - 3.




1. ანკერ-გაბრიელი ჩამოსვლი ბარსაკრით
2. სოლი
3. ბარსაკრი
4. სამონტაჟო ყური
5. საყელური
6. ძანჩი
7. ძანჩის გასაღები

სქემა 4.




1. ღუზა
2. მხრეული
3. მწკვარე




სქემა 5.







1. პინი
2. მუხი
3. სკოლი
4. პაპიტი
5. პაპირი




სურათი 6.



სურათი 7.



ප්‍රශ්න 8.




სქემა 9.

		რაოდ.	მასა	ჯამური მასა
1	КГП 21-1	2	3.56	7.12
2	ПРР 21-1	2	8.76	17.52
3	ПТМ 21-2	2	2.6	5.2
4	СР 21-20	2	0.65	1.3
5	ПС 210В	54	7.1	383.4
6	У1 21-20	2	2.24	4.48
7	ЗЗ 500-5	2	2.1	4.2
8	СКТ-21-1	2	1.96	3.92
9	2ПРР	2	4.92	9.84
10	3П6Р-30-1	1	703.8	703.8
				1140.78

თავი 4. ელექტროგადამცემი ხაზის პარამეტრების ანგარიში

N223 საყდენიდან N226 საყრდენამდე (იხ.სქემა 1)

1. AC 300/204 სადენის ტექნიკური პარამეტრები
დიამეტრი , $d = 29,2$ მმ
ჯამური მეტალური კვეთი, $F = 502$ მმ² = 5,02 სმ²
გრძივი მეტრის წონა , $q_1 = 2,428$ კგ/მ = 0,0238 კნ/მ
სიმტკიცის ზღვარი გაწყვეტაზე , $T_b=284,579$ კნ
დრეკადობის მოდული, $E=11183$ კნ/სმ²
ტემპერატორული ხაზოვანი წაგრძელების კოეფიციენტი $\epsilon = 15,5 \cdot 10^{-6}$
2. მეტეოროლოგიური პირობები
ქარის სიჩქარე $V = 30$ მ/წმ
ქარის დაწოლის ძალა $P= 55$ კგ/მ²
შემოყინვის სისქე, $c = 20$ მმ
3. სადენის მაქსიმალური დაჭიმულობები
წინასწარი ანგარიშების საფუძველზე მიღებულია
 $t_1 = 105$ კნ
 $t_2 = t_1 + q_7 \cdot h_1$
 q_7 არის სადენის მაქსიმალური დატვირთვა შემოყინვისა და ქარის
დაწოლის ძალის გათვალისწინებით
 $q_7 = \sqrt{(q_1 + q_2)^2 + q_5^2}$, სადაც
 q_2 არის სადენის დატვირთვა ყინულმოცვისაგან



ელექტროგადაცემის ხაზის სადენების საანგარიშო
სქემა N1

$$q_2 = \gamma \cdot \pi \cdot c \cdot (d+c) \cdot 10^{-3}$$

γ ყინულის ხვედრითი წონაა, $\gamma = 0,9$ გ/სმ³

$$q_2 = 0,9 \cdot 3,14 \cdot 20 \cdot (29,2 + 20) \cdot 10^{-3} = 0,027 \text{ კნ/მ}$$

q_5 ქარის დაწოლის ძალაა შემოყინულ სადენზე

$$q_5 = \alpha \cdot C_x \cdot K_1 \cdot 0,25 \cdot P \cdot (d + 2 \cdot c) \cdot 10^{-3}$$

α არის ქარის დაწოლის არათანაბრობის კოეფიციენტი,

როცა $P=55$ კგ/მ² $\alpha = 0,75$ დან/მ²

C_x ქარის შუბლური წინააღმდეგობის კოეფიციენტია

$$C_x = 1,2$$

K_1 მალის სიგრძის გავლენის კოეფიციენტია

$$K_1 = 1$$

$$q_5 = 0,75 \cdot 1,2 \cdot 1 \cdot 0,25 \cdot 55 \cdot (29,2 + 2 \cdot 20) \cdot 10^{-3} = 0,008 \text{ კნ/მ}$$

$$q_7 = \sqrt{(0,0238 + 0,027)^2 + 0,008^2} = 0,0516 \text{ კნ/მ}$$

$$t_2 = 105 + 0,0516 \cdot 79,15 = 109,08 \text{ კნ}$$

$$t_3 = t_2 + \Delta t_2$$

სადაც f არის ხახუნის კოეფიციენტი გირლანდის გორგოლაჭებში, წინასწარი

ანგარიშებით $\Delta t_1 = 0,62$ კნ და $\Delta t_2 = 0,52$ კნ

$$t_3 = 109,08 + 0,62 = 109,97 \text{ კნ}$$

$$t_4 = t_3 + q_7 \cdot h_2 = 109,97 + 0,0516 \cdot 102,35 = 115,25 \text{ კნ}$$

$$t_5 = t_4 + \Delta t_2 = 115,25 + 0,52 = 115,77 \text{ კნ}$$

$$t_6 = t_5 + q_7 \cdot h_3 = 115,77 + 0,0516 \cdot 98,57 = 120,85 \text{ კნ}$$

სადენის დასაშვები მაქსიმალური დაჭიმულობა

$$T_m^{\text{დასაშვ.}} = \sigma_m \cdot S = 25 \cdot 502 = 123,12 \text{ კნ და მეტია } 120,85 \text{ კნ-ზე}$$

4. დაჭიმულობის ჰორიზონტალური მდგენელი ძალების მიხედვით

$$H_1 = (t_1 + 0,5 \cdot q_7 \cdot h_1) \cdot \cos \beta_1$$

$$\cos \beta_1 = 0,9921$$

$$H_1 = (105 + 0,5 \cdot 0,0516 \cdot 79,15) \cdot 0,9921 = 106,2 \text{ კნ}$$

$$H_2 = (t_3 + 0,5 \cdot q_7 \cdot h_2) \cdot \cos \beta_2$$

$$\cos \beta_2 = 0,9941$$

$$H_2 = (109,97 + 0,5 \cdot 0,0516 \cdot 88,35) \cdot 0,9941 = 111,59 \text{ კნ}$$

$$H_3 = (t_5 + 0.5 \cdot q_7 \cdot h_3) \cdot \cos \beta_3$$

$$\cos \beta_3 = 0,9856$$

$$H_3 = (115,77 + 0,5 \cdot 0,0516 \cdot 112,57) \cdot 0,9856 = 116,97 \text{ კნ}$$

5. მისვლის კუთხეები

$$\alpha_1 = \arctg \left(\operatorname{tg} \beta_1 - \frac{q_7 \cdot \ell_1}{2 \cdot H_1 \cdot \cos \beta_1} \right) = \arctg \left(\frac{79,15}{625,82} - \frac{0,0516 \cdot 625,82}{2 \cdot 106,2 \cdot 0,9921} \right) =$$

$$= \arctg (0,1265 - 0,1532) = -1,53^\circ$$

$$\alpha_2 = \arctg (0,1265 + 0,1532) = 16,63^\circ$$

$$\alpha_3 = \arctg \left(\frac{88,35}{812,58} - \frac{0,0516 \cdot 812,58}{2 \cdot 111,59 \cdot 0,9941} \right) = \arctg (0,1260 - 0,1891) =$$

$$= -4,58^\circ$$

$$\alpha_4 = \arctg (0,10873 + 0,18899) = 16,59^\circ$$

$$\alpha_5 = \arctg \left(\frac{112,57}{655,6} - \frac{0,0516 \cdot 655,6}{2 \cdot 116,97 \cdot 0,9856} \right) = \arctg (0,1717 - 0,1467) = 1,43^\circ$$

$$\alpha_6 = \arctg (0,1717 + 0,1467) = 17,66^\circ$$

6. ერთ $d = 21,0$ მმ ზაგირზე ელექტროგადამცემი ხაზის, სახაზო არმატურის და კუთხოვანების დაწოლის ძალა

$$R_1 = Q_1 + Q_2 + Q_3$$

Q_1 არის კუთხოვანების წონით გამოწვეული დატვირთვა ერთ ზაგირზე

$$Q_1 = \frac{3 \cdot 2,563}{9} = 0,752 \text{ კნ}$$

Q_2 არის იზოლაცია-არმატურის წონით გამოწვეული დატვირთვა ერთ ზაგირზე

$$Q_2 = \frac{3 \cdot 11,23}{9} = 3,744 \text{ კნ}$$

Q_3 არის სადენებით გამოწვეული დაწოლა ერთ ზაგირზე

$$Q_3 = 2 \cdot 109,08 \sin \frac{16,63^\circ + 4,58^\circ}{2} = 40,17 \text{ კნ}$$

$$R_1 = 0,752 + 3,744 + 40,17 = 44,67 \text{ კნ}$$

ერთ $d = 22,5$ მმ-იან ზაგირზე ელექტროგადამცემი ხაზის, სახაზო არმატურის და კუთხოვანების დაწოლის ძალა

$$R_2 = \frac{3 \cdot 1,67}{6} + \frac{3 \cdot 11,23}{6} + \frac{9}{6} \cdot 2 \cdot 115,25 \cdot \sin \frac{16,59^\circ - 1,43^\circ}{2} = 52,06 \text{ კნ}$$

7. ჩალუნვები

$$f_1 = \frac{q_7 \cdot \ell_1^2}{8 \cdot H_1 \cdot \cos \beta_1} = \frac{0,0516 \cdot 625,82^2}{8 \cdot 106,2 \cdot 0,9921} = 23,98 \text{ მ}$$

$$f_2 = \frac{0,0516 \cdot 812,58^2}{8 \cdot 111,59 \cdot 0,9941} = 38,39 \text{ მ}$$

$$f_3 = \frac{0,0516 \cdot 655,6^2}{8 \cdot 116,97 \cdot 0,9856} = 24,05 \text{ მ}$$

8. იზოლაცია - არმატურის შერჩევა

ა) არმატურის და იზოლატორების მაქსიმალური გამჭიმბი ძალა

$d = 21$ მმ-იან ბაგირზე დაკიდებისას

$$F = \frac{3}{2} \cdot Q_3 = \frac{3}{2} \cdot 40,17 = 60,26 \text{ კნ}$$

არმატურის მაქსიმალური გამგლეჯი ძალა

$$F_{არმ} = 60,26 \cdot 2,5 = 150,65 \text{ კნ}$$

იზოლატორის მაქსიმალური გამგლეჯი ძალა

$$F_{იზ} = 60,26 \cdot 2,7 = 162,7 \text{ კნ}$$

ვირჩევთ იზოლაცია-არმატურას 210 კნ-ის გამგლეჯი ძალით.

ბ) არმატურისა და იზოლატორის მაქსიმალური გამჭიმბი ძალა $d=22,5$ მმ-

იანი ბაგირზე სადენების დაკიდებისას

$$F = \frac{3}{2} \cdot 45,17 = 67,76 \text{ კნ}$$

არმატურის მაქსიმალური გამგლეჯი ძალა

$$F_{არმ} = 67,76 \cdot 2,5 = 169,39 \text{ კნ}$$

იზოლატორის მაქსიმალური გამგლეჯი ძალა

$$F_{იზ} = 67,76 \cdot 2,7 = 182,95 \text{ კნ}$$

ვირჩევთ იზოლაცია არმატურას 210 კნ-ის გამგლეჯი ძალით

9. სამონტაჟო დაჭიმულობა

სამონტაჟო დაჭიმულობა იანგარიშება სადენის საერთო მდგომარეობის განტოლებიდან

$$t_{\text{სამონტ}}^3 + t_{\text{სამონტ}}^2 \cdot \left(\frac{E \cdot F}{24 \cdot t_{\text{მ}}} \cdot q_1^2 \cdot \ell_{\text{დაყვ.}}^2 - t_{\text{მ}} + \Delta t^0 \cdot \varepsilon \cdot E \cdot F \right) =$$

$$= \frac{E \cdot F}{24} \cdot q_1^2 \cdot \ell_{\text{დაყვ.}}^2$$

$$\ell_{\text{დაყვ.}} = \sqrt{\frac{\frac{\ell_1^3}{\cos\beta_1} + \frac{\ell_2^3}{\cos\beta_2} + \frac{\ell_3^3}{\cos\beta_3}}{\frac{\ell_1}{\cos\beta_1} + \frac{\ell_2}{\cos\beta_2} + \frac{\ell_3}{\cos\beta_3}}} =$$

$$= \sqrt{\frac{\frac{625.82^3}{0.9921} + \frac{812.58^3}{0.9947} + \frac{655.6^3}{0.9856}}{\frac{625.82}{0.9921} + \frac{812.58}{0.9941} + \frac{655.6}{0.9856}}} = 712 \text{ მ}$$

$$t_{\text{სამონტ}}^3 + t_{\text{სამონტ}}^2 \cdot \left(\frac{11183 \cdot 5,02}{24 \cdot 120,34^2} \cdot 0,0516^2 \cdot 712^2 - 120,34 + \right.$$

$$\left. + \Delta t^\circ \cdot 0,0000155 \cdot 11183 \cdot 5,02 \right) = \frac{11183 \cdot 5,02}{24} \cdot 0,0238^2 \cdot 712^2$$

$$t_{\text{სამონტ}}^3 + t_{\text{სამონტ}}^2 \cdot (98,54 + 0,874 \cdot \Delta t^\circ) = 671\,684 \quad (1)$$

$$\Delta t^\circ = t_{\text{max}}^\circ - t_{\text{min}}^\circ$$

თუ სამონტაჟო ტემპერატურა $+20^\circ$ -ია მაშინ $\Delta t^\circ = +20^\circ - (-20^\circ) = 40^\circ$ და

$$\text{გვეყენება } t_{\text{სამონტ}}^3 + t_{\text{სამონტ}}^2 \cdot (98,54 + 0,874 \cdot 40) = 671\,684$$

$$t_{\text{სამონტ.}} = 59 \text{ კნ}$$

((1) განტოლებიდან გარემოს ნებისმიერი ტემპერატურის დროს ვპოულობთ სამონტაჟო დაჰიმულობას)

თავი 5. მზიდი ბაგირების შემოწმებითი ანგარიში

N224 Y2(C2)+5 საყრდენის შემცველი მზიდი ბაგირების მაქსიმალური დაჭიმულობების ანგარიშს ვახდენთ ბაგირების მაქსიმალური ჩალუნვის პირობიდან გამომდინარე (იხ. სქემა 2.)

$$T_x \geq \frac{x \cdot (\ell - x)}{2 \cdot f_x \cdot \cos \beta} \left(\frac{q_7}{\cos \beta} + \frac{2 \cdot R_1}{\ell} \right)$$

$$q_7 = \sqrt{(q_1 + q_2)^2 + q_5^2}$$

$$q_1 = 0,022 \text{ კნ/მ}$$


$$q_2 = 0,9 \cdot 3,14 \cdot 20 \cdot (21+20) \cdot 10^{-3} = 0,0227 \text{ კნ/მ}$$

$$q_5 = 0,75 \cdot 1,2 \cdot 1 \cdot 0,25 \cdot 55 \cdot (21 + 2 \cdot 20) \cdot 10^{-3} = 0,0074 \text{ კნ/მ}$$

$$q_7 = \sqrt{(0,022 + 0,0232)^2 + 0,0074^2} = 0,0453 \text{ კნ/მ}$$

$$T_x = \frac{491,59 \cdot (949,69 - 491,59)}{2 \cdot 119,48 \cdot 0,9944} \cdot \left(\frac{0,0453}{0,9944} + \frac{2 \cdot 42,93}{949,69} \right) = 128,65 \text{ კნ}$$

ვირჩევთ მზიდ ბაგირს : 21,0 -Г-B-C-H-1470 (150) ГОСТ 3064 – 80



N224 საყრდენის შეცვლელი გაბირების საანგარიშო
სქემა N2

ზაგირის სამონტაჟო დაჭიმულობა იანგარიშება ზაგირის საერთო მდგომარეობის განტოლებიდან

$$t_{\text{სამონტ}}^3 + t_{\text{სამონტ}}^2 \cdot \left\{ \frac{E \cdot F}{24 \cdot T_x^2} \cdot \left[\frac{q_7^2 \cdot \ell^2}{\cos^2 \beta} + 12 \cdot R_1 \cdot \left(R_1 + \frac{q_7 \cdot \ell}{\cos \beta} \right) \cdot \frac{x \cdot (\ell - x)}{\ell^2} \right] \cdot \cos^2 \beta - T_x + \varepsilon \cdot \Delta t^0 \cdot E \cdot F \right\} = \frac{E \cdot F \cdot q_1^2 \cdot \ell^2}{24}, \text{ სადაც}$$

$$E = 19620 \text{ კნ/სმ}^2$$

$$F = 2.625 \text{ სმ}^2$$

$$\varepsilon = 12 \cdot 10^{-6}$$

$$t_{\text{სამონტ}}^3 + t_{\text{სამონტ}}^2 \cdot \left\{ \frac{19620 \cdot 2.625}{24 \cdot 128.65^2} \cdot \left[\frac{0.0453^2 \cdot 949.69^2}{0.9944^2} + 12 \cdot 42.83 \cdot \left(42.83 + \frac{0.0453 \cdot 949.69}{0.9944} \right) \cdot \frac{491.59 \cdot 458.1}{949.69^2} \right] \cdot 0.9944^2 - 134 + 0.000012 \cdot \Delta t^0 \cdot 19620 \cdot 2.625 \right\} = \frac{19620 \cdot 2.625 \cdot 0.022^2 \cdot 949.69^2}{24}$$

$$t_{\text{სამონტ}}^3 + t_{\text{სამონტ}}^2 \cdot (1655 - 134 + 0.62 \cdot \Delta t^0) = 936775 \quad (1)$$

$$\Delta t^0 = t^0_{\text{max}} - t^0_{\text{min}}$$

თუ სამონტაჟო ტემპერატურა $+25^\circ$ -ია მაშინ $\Delta t^0 = +25^\circ - (-20^\circ) = 45^\circ$ და გვექნება

$$t_{\text{სამონტ}}^3 + t_{\text{სამონტ}}^2 \cdot (1521 + 0.62 \cdot 45) = 936775$$

$$t_{\text{სამონტ.}} = 24.4 \text{ კნ}$$

სამონტაჟო ჩალუნვა

$$f_x = \frac{x \cdot (\ell - x) \cdot q_1}{2 \cdot H \cdot \cos \beta}$$

$$H = (24.4 - 0.022 \cdot 101.02 \cdot 0.5) \cdot 0.9944 = 23.26 \text{ კნ}$$

$$f_x = \frac{491.59 \cdot 458.1 \cdot 0.022}{2 \cdot 23.26 \cdot 0.9944} = 107.1 \text{ მ}$$

N226 Y2(C2) საყრდენების შემცველი მზიდი ბაგირების მაქსიმალური დაჭიმულობების ანგარიშს ასევე ვახდენთ ბაგირების მაქსიმალური ჩაღუნვის პირობიდან გამომდინარე (იხ.სქემა 3.)

$$T_x \geq \frac{x \cdot (\ell - x)}{2 \cdot f_x \cdot \cos \beta} \left(\frac{q_7}{\cos \beta} + \frac{2 \cdot R_2}{\ell} \right)$$


$$q_1 = 0.025 \text{ კნ/მ}$$

$$q_2 = 0.9 \cdot 3.14 \cdot 20 \cdot (22.5 + 20) \cdot 10^{-3} = 0.0236 \text{ კნ/მ}$$

$$q_5 = 0.75 \cdot 1.2 \cdot 1 \cdot 0.25 \cdot 55 \cdot (22.5 + 2 \cdot 20) \cdot 10^{-3} = 0.00773 \text{ კნ/მ}$$

$$q_7 = \sqrt{(0.025 + 0.0236)^2 + 0.00773^2} = 0.0491 \text{ კნ/მ}$$

$$\cos \beta = \cos \left(\arctg \frac{75}{648.68} \right) = 0.9934$$



N225 საყრდენის შამცვლელი გაბირების საანგარიშო
სქემა N3

$$T_x = \frac{263,87 \cdot 384,81}{2 \cdot 60,75 \cdot 0,9934} \cdot \left(\frac{0,0491}{0,9934} + \frac{2 \cdot 58,39}{648,68} \right) = 193,1 \text{ კნ}$$

ვირჩევთ მზიდ ბაგირს : 22,5 – Г- В-С-Н-1570(160) ГОСТ 3064-80

ბაგირის სამონტაჟო დაჭიმულობა იანგარიშება ბაგირის საერთო მდგომარეობის განტოლებიდან

$$t_{\text{სამონტ}}^3 + t_{\text{სამონტ}}^2 \cdot \left\{ \frac{E \cdot F}{24 \cdot T_x^2} \cdot \left[\frac{q_7^2 \cdot \ell^2}{\cos^2 \beta} + 12 \cdot R_2 \cdot \left(R_2 + \frac{q_7 \cdot \ell}{\cos \beta} \right) \cdot \frac{x \cdot (\ell - x)}{\ell^2} \right] \cdot \cos^2 \beta - T_x + \varepsilon \cdot \Delta t^0 \cdot E \cdot F \right\} = \frac{E \cdot F \cdot q_1^2 \cdot \ell^2}{24}, \text{ სადაც}$$

$$E = 19620 \text{ კნ/სმ}^2$$

$$F = 2.985 \text{ სმ}^2$$

$$\varepsilon = 12 \cdot 10^{-6}$$

$$t_{\text{სამონტ}}^3 + t_{\text{სამონტ}}^2 \cdot \left\{ \frac{19620 \cdot 2,985}{24 \cdot 193,1^2} \cdot \left[\frac{0,0491^2 \cdot 648,68^2}{0,9934^2} + 12 \cdot 58,39 \cdot \left(59,39 + \frac{0,0491 \cdot 648,68}{0,9934} \right) \cdot \frac{263,87 \cdot 384,81}{648,68^2} \right] \cdot 0,9934^2 - 193,1 + 0,000012 \cdot 19620 \cdot 2,985 \cdot \Delta t^0 \right\} = \frac{19620 \cdot 2,985 \cdot 0,025 \cdot 648,68}{24}$$

$$\Delta t^0 = t_{\text{max}}^0 - t_{\text{min}}^0$$

თუ სამონტაჟო ტემპერატურა +30°-ია მაშინ

$$\Delta t^0 = +30^\circ - (-20^\circ) = 50^\circ \text{ და გვექნება}$$

$$t_{\text{სამონტ}}^3 + t_{\text{სამონტ}}^2 \cdot (1054,04 - 193,1 + 35,14) = 641 \text{ 761}$$

$$t_{\text{სამონტ}} = 26,4 \text{ კნ}$$

სამონტაჟო ჩაღუნვა

$$f_x = \frac{x \cdot (\ell - x) \cdot q_1}{2 \cdot H \cdot \cos \beta}$$

$$H = (26,4 - 0,025 \cdot 75 \cdot 0,5) \cdot 0,9934 = 25,29 \text{ კმ}$$


$$f_x = \frac{263,87 \cdot 384,81 \cdot 0,025}{2 \cdot 25,29 \cdot 0,9934} = 50,52 \text{ მ}$$

თავი 6. ბაგირების კლდეში ჩამაგრების ანკერების ანგარიში

1. დანიშნულება და გამოყენების არე

- 1.1 წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს გრუნტის ანკერების მოწყობას კლდოვან ქანში, რომლებიც გათვალისწინებულია მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გირლიანდების დასამაგრებლად კლდოვან ქანებში ჩაანკერებულ დაჭიმულ ბაგირებზე.
- 1.2 პროექტში მოცემული ტიპის ანკერები განეკუთვნება ე.წ ჩამსოლი ტიპის ანკერებს და გამოიყენება ისეთი კლდოვანი გრუნტებისათვის, რომელთა საანგარიშო წინაღობა კუმშვაზე შეადგენს არა ნაკლებ 10 კგ/სმ^2 , ხოლო გაჭიმვაზე არა ნაკლებ $0,5 \text{ კგ/სმ}^2$. წყლით გაჯერებულ მდგომარეობაში.
- 1.3 თუ საანკრე ხვრელების ბურღვის დროს ადგილი ექნა გაუთვალისწინებელ შემთხვევას, აღმოჩნდა შედარებით რბილი ფენები, რომელთა ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები განსხვავდება 1.2 პუნქტში მოცემული მახასიათებლებისაგან, ანკერების ტიპის შერჩევის და მოწყობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საპროექტო ორგანიზაცია.
- 1.4 ბურღვის დროს ფიზიკურ-მექანიკურ მახასიათებლებში ექვსი შეტანა გეოლოგიური მონაცემებისგან განსხვავებით საკმარისია ბურღის დაწოლის ძალის დინამომეტრის ცვლილებებით.
- 1.5 თუ ადგილი ექნა გეოლოგიურ მონაცემებზე უფრო მტკიცე გრუნტის შემთხვევას, ჩასოლვის სიღრმის შემცირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საპროექტო ორგანიზაცია.

2. ანკერის მუშაობის პრინციპის მოკლე აღწერა



2.1 გამოყენებული ანკერი წარმოადგენს ბირთვული მოქმედების ანკერს, რომელიც განეკუთვნება მაღალი სიმტკიცის IX-X კატეგორიის გრუნტებისათვის. მწევარა (1) იძირება წინასწარ გაანგარიშებული მდებარეობის და სიღრმის ხვრელში (იხ.ნახ1) $L_{საანკ}$ სიღრმეზე, მწევარაზე წამოცმული ვაზნა ისოლება რადიალური სოლით (4). მწევარაზე საყრდენი რგოლით (5) დაფიქსირებული ვაზნა (3) ფართოვდება რადიალურად, იჭრება ხვრელის (2) კედლებში და წარმოქმნის ბირთვს, რომელიც ამუშავებს შესაბამისი შიგა ხახუნის მქონე გრუნტის რღვევის კონუსს. ისწრაფვის რა ბირთვი მოსწყვიტოს რღვევის კონუსი ძირითად გრუნტს, უნდა გაარღვიოს რღვევის კონუსის ზედაპირზე მოქმედი შეჭიდულობის ძალები, რაც განაპირობებს ანკერის მუშაობის პრინციპს. მწევარას საიმედოდ დასამაგრებლად გრუნტში გამოიყენება საინექციო ცემენტის ხსნარი (7), რომელიც შემკვრივდება შემამკვრივებელი გარსაკრის (8), საყელურისა (9) და ქანჩის (10) საშუალებით. ჩასოლვა სწარმოებს სპეციალური გარსაკრის საშუალებით, რომლის სიგრძე და შიგა დიამეტრი აიღება ანკერის დიამეტრისა და ჩაძირვის სიღრმის შესაბამისად.

საინჟინრო ხსნარის გამყარების შემდეგ ეწეობა ანკერის წინასწარი დაძაბვა ქანჩის (10) მგრეხავი მომენტის საშუალებით საყელურის (10) სისქეზე მოთავსებული დარჩენილი სუფთა კუთხვილის ხარჯზე. წინასწარდაძაბვის F ძალის სიდიდე ინიშნება საპროექტო წევის T ძალის შესაბამისად. $0.25T < F < 0.75T$

3. ძირითადი პირობები დაანკერების სამუშაოების მიმდინარეობის დროს

- 3.1 საპროექტო ორგანიზაცია პასუხს არ აგებს შემსრულებლის მიერ ანკერის ტიპის, საანკერე ხვრელის დიამეტრის ან ანკერის ჩაძირვის სიღრმის თვითნებურად შეცვლის ან საპროექტო ორგანიზაციასთან შეთანხმებლობის შემთხვევაში.
- 3.2 ანკერის მოწყობის დროს საჭიროა შედგეს ფარული სამუშაოების აქტი, სადაც აუცილებელია საპროექტო ორგანიზაციის წარმომადგენლის ან მისი სანდო პირის ყოფნა.
- 3.3 საბურღი სამუშაოების დაწყების წინ კლდოვანი გრუნტის გამოფიტული ფენა, რომელიც იოლად სცილდება ზედაპირის სამტვრევი იარაღების დაუხმარებლად, უნდა მოცილებული იქნას ზედაპირიდან. თუ მოცილებული ფენა გათვალისწინებულია ზედაპირის ვერტიკალური და ჰორიზონტალური მოშანდაკების სამუშაოებში, მაშინ ამ ადგილზე მოეწყოს სადებები ან შეიცვალოს ჩაძირვის სიღრმე. დამატებითი სამუშაოები შევიდეს ხარჯთაღრიცხვაში საპროექტო ორგანიზაციასთან შეთანხმებით ან გაუთვალისწინებელ ხარჯებში.
- 3.4 თუ ანკერის წინასწარი მოჭიმვის შემდეგ ანკერზე საპროექტო ძალის მოდებამდე ქანჩი 10 (იხ. ნახ1) მოშვას, ანკერი უნდა გამოცდილ იქნეს საპროექტო ძალაზე, ან შეიცვალოს მისი მოწყობის ადგილი (ან თვითონ ანკერი, თუ დაუზიანებლად მისი გამოღება შეუძლებელია). ეს ყველაფერი უნდა მოხდეს იმ მიზეზის დადგენის შემთხვევაში, რამაც განაპირობა ჩაანკერების წუნი.
- 3.5 დასაშვები გადახრები საპროექტო მონაცემებიდან არ უნდა შეადგენდეს დადგენილ ნორმებს.
- 3.6 თუ ტექნიკური მიზეზების დროს დასაშვები ნორმებიდან გადახრა გარდაუვალია, ეს საკითხი უნდა შეთანხმებული იქნას და ნებადართული საპროექტო ორგანიზაციის მიერ.

4. ზღვრული დასაშვები გადახრები საპროექტო მონაცემებიდან

- 4.1 საანკერე ხვრელის ღერძის მართობულობის დარღვევა ქანჩის ზედაპირის სიბრტყისადმი უნდა შეადგინოს არა უმეტეს $\pm 1.5^\circ$ -ს
- 4.2 საანკერე (ჩასოლვის) ხვრელის სიგრძის ცვლილება საპროექტო სიგრძესთან მიმართებაში არ უნდა აღემატებოდეს ± 4 სმ-ს
- 4.3 ანკერზე მოდებული საპროექტო ძალის მიმართულების გადახრა საპროექტო მიმართულებიდან არ უნდა აღემატებოდეს $\pm 1.6^\circ$ -ს

- 4.4 დასაშვებია ცემენტის ხსნარის ნაცვლად ცემენტ-ქვიშის საინექციო ხსნარის გამოყენება იმ პირობით, რომ მისი ნორმატიული წინაღობა კუმშვაზე $R_{პრ} \geq 1.2R_g$. სადაც R_g არის საანკერე მასივის ნორმატიული წინაღობა კუმშვაზე.
- 4.5 ანკერის მწევარაზე გადაცემული მღუნავი მომენტი სამონტაჟო სამუშაოების დროს $M \leq 0.5 M_{ზღვ}$. სადაც $M_{ზღვ}$ წარმოადგენს მწევარას ყველაზე საშიში კვეთის ზღვრულ მომენტს, რომელიც გამოითვლება ფორმულით $M_{ზღვ} = [N] \times W$ სადაც $[N]$ მწევარას მასალის დასაშვები ძაბვაა ღუნვაზე, ხოლო W შესაბამისად მისი კვეთის წინაღობის მომენტი.

5. დაცვა კოროზიისაგან

- 5.1 მწევარას გრუნტში შესვლის ადგილი უნდა ამოილესოს საიმედოდ ცემენტის ხსნარით. დაუშვებელია მწევარას შიგთავსში წყლის დაგროვება ან სადმე ნახეთქებიდან წყლის დენა შიგთავსში.
- 5.2 სამონტაჟო სამუშაოების დამთავრების შემდეგ ღიად დარჩენილი კუთხვილის ადგილები დაიფაროს ანტიკოროზიული საგოზავი მასალით.

6. გაანგარიშების ძირითადი პრინციპები

- 6.1 გაანგარიშებას საფუძვლად უდევს მესამე ზღვრული მდგომარეობა, რომლითაც მოწმდება საანკერე მასივის მზიდუნარიანობა (რღვევის კონუსის ამოგლეჯვამდე)
- 6.2 ჩასაბმელი ტრავერსას კონსტრუქცია მიღებულია აბსოლუტურად ხისტად ბაგირების სახსროვანი ჩაბმით, რაც განაპირობებს გრუნტის ანკერების დაახლოებით თანაბარ მუშაობას მასივში (იხ. API 00 000)
- 6.3 მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად ანკერების მუშაობის უთანაბრობის კოეფიციენტად მიღებულია 1.25
- 6.4 მშენებლობის ექსპლუატაციის ვადად მიღებულია 50 წელი
- 6.5 გრუნტის ანკერების მოწყობისას, რთული სამუშაო პირობების გამო დაშვებულია ტრავერსაზე ქვედა გამანაწილებელი ფილის არქონა, რაც გაადვილებს ტრავერსას წამოცმას უფრო ნაკლები სიზუსტით მოწყობილ ანკერებზე, ამის გამო დასაშვებია საანკერე მწევარას გრუნტგარეშე ტანის ღუნვა ნორმებით გათვალისწინებულ ფარგლებში.
- 6.6 პუნქტის გათვალისწინებით აუცილებელია საანკერე მწევარას მასალად შეირჩეს ფოლადი, რომელსაც ექნება მკაცრად გამოხატული დამყოლი თვისებები და დენადობის ზღვარი მაგ. ფოლადები 09Г2С, Сг20). მაღალნახშირბადოვანი ფოლადების გამოყენება არ დაიშვება.
- 6.7 ანგარიში ჩატარებულია ნახ2-ზე მოცემული გეომეტრიული მონაცემების მიხედვით.

7. ნორმატიული და საანგარიშო დატვირთვების განსაზღვრა

7.1 ნორმატიული დატვირთვა, გამოწვეული გირლიანდის დაჭიმულობისაგან შეადგენს 58.02 კნ-ს. საანგარიშო დატვირთვა გამოწვეული გირლიანდის დაჭიმულობისაგან თითო ჩამაგრებაზე ტოლია:

$$T_{\text{საანგ}}^1 = 193.1 \text{ კნ (დავალების მიხედვით)}$$

$$T_{\text{საანგ}}^2 = 189.42 \text{ (დავალების მიხედვით)}$$

7.2 ძალის მიმართულების ზღვრული შეადგენს $\pm 1.2^\circ$

7.3 კუთხეები, რომელსაც ადგენს ბაგირების დაჭიმულობის ძალები ჰორიზონტთან ტოლია $\beta_1 = 15.29^\circ$, $\beta_2 = 6.54^\circ$

7.4 გირლიანდის დაჭიმულობის ძალის მაქსიმალური ჰორიზონტალური მდგენელი ტოლია:

$$T_H^1 = T_{\text{საანგ}}^1 \times \cos 15.29^\circ = 193.1 \times \cos 15.29^\circ = 186.26 \text{ კნ}$$

$$T_H^2 = T_{\text{საანგ}}^2 \times \cos 6.54^\circ = 189.42 \times \cos 6.54^\circ = 188.19 \text{ კნ}$$

7.5 გირლიანდის დაჭიმულობის ძალის მაქსიმალური ვერტიკალური მდგენელი ძალა

$$T_V^1 = T_{\text{საანგ}}^1 \times \sin 15.29^\circ = 193.1 \times \sin 15.29^\circ = 50.92 \text{ კნ}$$

$$T_V^2 = T_{\text{საანგ}}^2 \times \sin 6.54^\circ = 189.42 \times \sin 6.54^\circ = 21.57 \text{ კნ}$$

8. საანკერე მასივი და მისი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები

8.1 საანკერე მასივად მიღებულია გამოუფიტავი გრანიტის ფენა, რომელიც თავისი თვისებით განეკუთვნება დამუშავების მიხედვით გრუნტების IX-X კატეგორიას

8.2 საანკერე მასივის ანგარიში ეყრდნობა გეოდეზიურ, გეოლოგიურ და ნიმუშის გამოცდის მონაცემებს, რომელიც გაცემულია შესაბამისი კომპეტენტური ორგანიზაციების მიერ და თან ერთვის პროექტს.

9. საანგარიშო სქემა და მასივის გეომეტრიული მახასიათებლები

9.1 გრუნტის საანკერე მასივის საანგარიშო სქემა წარმოდგენილია ნახ.3 და ნახ.4-ზე. იგი წარმოადგენს კლდოვანი გრუნტის ფენაში ხისტად ჩამაგრებულ ფოლადის ღეროს საანკერე ბირთვით, ღეროს მეორე ბოლოში მოდებულია ჰორიზონტისადმი კუთხით დახრილი ბაგირის მომჭიმავი ძალები T^1 და T^2

9.2 წინასწარი გაანგარიშებიდან განისაზღვრა საანკერე ხვრელების დაშორება ჰორიზონტალურ სიბრტყეში $d = 2.0 \text{ მ}$

9.3 გეოლოგიური მონაცემების თანახმად შინაგანი ხახუნის კუთხედ მიღებულია $\varphi = 36^\circ$

9.4 რღვევის კონუსის კუთხე შეადგენს $\omega = 2\varphi = 72^\circ$

9.5 კონუსის ზედა კვეთის რადიუსი $r = 0.5 \times 103 = 51.5 \text{ მმ}$

9.6 რღვევის კონუსის მსახველი $c = \left(\frac{d}{2} - r\right) : \sin 36^\circ = 1614 \text{ მმ}$

9.7 რღვევის კონუსის ფუძის რადიუსი $R = 1000 \text{ მმ}$


9.8 გრუნტის სიმკვრივე $\rho = 2.82 \text{ გ/სმ}^3$

9.9 რღვევის კონუსის წონა $P = \rho v - 2820 \times \frac{3 \times 14 \times 1.306}{3} (1.0^2 + 0.0515^2 + 1.0 \times 0.05 \times 15) = 4064 \text{ კგ}$


9.10 რღვევის კონუსის (იგულისხმება საანგარიშო კონუსი) სიმაღლე $h = c \times \cos 36^\circ = 1614 \cos 36^\circ = 1306 \text{ მმ}$

9.11 ანკერის დახრის კუთხე ჰორიზონტთან შეადგენს $\Delta_1 = 25^\circ \Delta_2 = 10^\circ$




9.12 საანკერე ხვრელის კვეთის ფართი $S = 3.14 \times 93^2 / 4 = 1697 \text{ მ}^2$



ნახ.3



бдб. 5



5sb.6

საანკერე მასივის შემოწმება მზიდუნარიანობაზე

1. საანგარიშო რღვევის კონუსის გვერდითი ზედაპირის ფართობი $S = 3.14 \times 1.614(1.0 + 0.0515) = 5.329 \text{ მ}^2$
2. შევამოწმოთ პირობა მზიდუნარიანობაზე $0.125 R_g S \geq T_H$ სადაც R_g წარმოადგენს მასივის გრუნტის სიმტკიცეს გაჭიმვაზე, ხოლო $K = 0.125$ კოეფიციენტი მუშაობის პირობების უთანაბრობას

$$T_H^1 = 186.26 \text{ კნ} \leq 0.125 \times 8 \times 53290 = 53290 \text{ კგ}=522,77 \text{ კნ}$$

$$T_H^2 = 188.19 \text{ კნ} \leq 0.125 \times 8 \times 53290 = 53290 \text{ კგ}=522,77 \text{ კნ}$$

პირობები დაკმაყოფილებულია.

საანკერე მასივში ხერელის სიგრძის განსაზღვრა

საანკერე მასივში ხერელის სიგრძე (ანუ ჩაბურღვის სიღრმე) იანგარიშება პირობიდან

$$L = m + L_{\text{საანგ}} = m + h + L_k + h_0$$

$m = 440 \text{ მმ}$ არის ანკერის კონსტრუქციული ნაწილი, რომელიც მდებარეობს საანგარიშო რღვევის კონუსის გარეთ შეიცავს ვაზნის და მის დასამაგრებელი რგოლის კონსტრუქციულ გაბარიტებს.

$h = 1306 \text{ მმ}$ არის საანგარიშო რღვევის კონუსის სიმაღლე. (ბირთვის მოდელების ზედაპირიდან მეზობელი რღვევის კონუსების გადაკვეთის წერტილამდე მანძილი)

L_k - გრუნტის სიღრმე, რომელიც აიღება მშენებლობის კაპიტალურობის მიხედვით გრუნტის გამოფიტვის პირობიდან. კაპიტალურ ნაგებობებს, რომელთაც წაეყენებათ ექსპლუატაციის ვადა 50 წელი შეესაბამებათ L_k -1100 მმ აღნიშნული ტიპის გრუნტზე. $h_0 = 140 \text{ მმ}$ - გრუნტის მოქმედი გამოფიტვის დაწყების სიღრმეა ყინვა-გაღლობის ციკლის შედეგად წყლით გაჯერებულ მდგომარეობაში.

ამრიგად, $L_1 = 440 + 1306 + 1100 + 140 = 2986 \text{ მმ}$

ავიღოთ $L_1 = 3000 \text{ მმ}$

მეორე მხარისათვის განმეორებითი ანგარიშის შედეგად ვიღებთ $L_2 = m + L_{\text{საანგ}}^2 = 440 + 2258 = 2698 = 2700 \text{ მმ}$

მწევარას ყელის შემოწმება ვერტიკალურ დატვირთვაზე

საანგარიშო ვერტიკალური დატვირთვები, რომელიც მოდის მწევარას კონსოლზე ტოლია $T_v^1 = 50.92 \text{ კნ}$; $T_v^2 = 21.57 \text{ კნ}$ მაქსიმალური მღუნავი მომენტი მოსული მწევარას ყელზე ყველანაირი გაძლიერების გაუთვალისწინებლად ტოლია

$$M^1 = \frac{T_v^1 e}{\cos \Delta_1} = 50.92 \times \frac{0.157}{\cos 25^\circ} = 8.82 \text{ კნ} \cdot \text{მ}$$


$$M^2 = \frac{T_v^2 e}{\cos \Delta_2} = 21.57 \times \frac{0.157}{\cos 10^\circ} = 3.44 \text{ კნ} \cdot \text{მ}$$

$$\text{კვეთის წინაღობის მომენტები } W_x = W_y = \frac{\pi \omega^3}{4} = \frac{314 \times 2.8^3}{4} = 17 \text{ სმ}^3$$

მაქსიმალური ძაბვა ღუნვისას კვეთში ტოლია

$$\sigma = \frac{M_{\max}}{W_x} = \frac{8.82}{17} = 0.519 \text{ კნ/სმ}^2 > [\sigma]$$

ამრიგად, წინასწარდამძაბავი ქანჩის მოხსნის შემთხვევაში საანკერე მწევარას კვეთის წინაღობის მომენტი არაა საკმარისი იმისთვის რომ კვეთმა აიტანოს მღუნავი მომენტი, ამიტომ მწევარა მიიღებს ნორმებით დასაშვებ დეფორმაციას და იმუშავებს გაჭიმვაზე, რადგან ექსპლუატაცია არ ითვალისწინებს საანკერე ტრავერსას ციკლურ მონტაჟ-დემონტაჟს, ეს სავსებით მისაღებია, წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებელია სამონტაჟო საყელურის დადუღება ტრავერსაზე.



ნახ.7

საანკერე მასივის შემოწმება ბირთვით თელვაზე

საანკერე მასივის რღვევის კონუსის მოკვეთილი თავი ანკერის ბირთვისაგან განიცდის თელვას თუ საინექციო ხსნარი არ არის შემკვრივებული სათანადო დონეზე და ვერ კრავს საანკერე მწვეარას და კლდოვან გრუნტს ერთ მონოლითად, მაშინ მწვეარა გრუნტში კავდება ბირთვით და ხახუნის ძალით ცემენტის ქერქსა და ხვრელის კედლებს შორის შემოწმება ხდება ფორმულით

$$\left(n \times T_H^{\max} - S_{\text{ხვრ}} \times \gamma \times C_1 - \frac{2}{3} T_V^{\max} \cos \Delta - \chi c_2 \frac{S_{\text{კონ}}}{2} - \mu P \right) : F_{\text{თ}} \leq R_3$$

$n = 0.85$ კოეფიციენტი ითვალისწინებს გადატვირთვას საკონტროლო შემოწმების დროს
 $T_H^{\max} = 186.26 \text{ კნ} = 18987 \text{ კგ}$ - საპროექტო T დაჭიმულობის ჰორიზონტალური მდგენელი
 $T_V^{\max} = 50.92 \text{ კნ} = 5191 \text{ კგ}$ - საპროექტო T^1 დაჭიმულობის ვერტიკალური მდგენელი
 $S_{\text{ხვრ}} = 3.14 \times 9.3 \times 130.6 = 3814 \text{ სმ}^2$ საანგარიშო რღვევის კონუსში მოთავსებული ხვრელის გვერდითი ზედაპირის ფართობი

$\gamma = 0.1$ ხვრელის შევსების უთანაბრობის კოეფიციენტი

$C_1 = 18 \text{ კგ/სმ}^2$ - ბეტონის ქერქის შეჭიდულობა გრუნტთან

Δ - ანკერის დაყენების კუთხე ჰორიზონტთან

$\chi = 0.0015$ მასივის გრუნტის შეჭიდულობის უთანაბრობის ემპ.კოეფიციენტი

$c_2 = 25 \text{ კგ/სმ}^2$ საანკერე მასივის გრუნტის შეჭიდულობის ძალა

$S_{\text{კონ}} = 53290 \text{ სმ}^2$ - საანგარიშო რღვევის კონუსის გვ.ზედაპირის ფართი

$\mu = 0.8$ გრანიტის ფენების ხახუნის ემპირიული კოეფიციენტი

$P = 4064 \text{ კგ}$ საანგარიშო რღვევის კონუსის წონა

$F_{\text{თ}} = 15.39 \text{ სმ}^2$ - რღვევის კონუსის წაკვეთილი თავის თელვის ფართი

$$\left(0.85 \times 18987 - 3814 \times 0.1 \times 18 - \frac{2}{3} 5191 \times \cos 10^\circ - 0.0015 \times 25 \frac{53290}{2} - 0.8 \times 4064 \right) : 15.39 = 104.96 < R_3 = 134.6 \text{ კგ/სმ}^2$$

პირობა დაკმაყოფილებულია

უსაფრთხოების პირობების დაცვა სამუშაოთა წარმოების დროს

- 1 სამუშაოთა წარმოების დროს დაცული უნდა იქნეს უსაფრთხოების მოთხოვნები მოქმედი ნორმების შესაბამისად (Меры безопасности по устройству грунтовых анкеров в горных условиях. Лондон 1993 г.)
- 2 უსაფრთხოების მოთხოვნების ცოდნის გარეშე მომუშავე პერსონალი სამუშაოზე არ დაიშვება.

თავი 7. 500 კვ-იანი ემხ-ის “კავკასიონის” N225 Y2(C2) საჰაერო საავიაციო
დაკიდებით შეცვლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩატარების
ტექნოლოგია

1. IX-X კატეგორიის კლდის ქანზე, მდ. კლიჩის მარცხენა სანაპიროზე 1741,66
და 1744,66 ნიშნულზე სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოების
ჩასატარებელი მოედნების მოწყობა

1) სამუშაოების მოცულობა მოედნების მოსაწყობად

- ქვედა მოედნის მოწყობა 1741,66 ნიშნულზე, რომლის სიგრძეა 6მ , ხოლო
სიგანე - 2მ, ხდება შემდეგი თანმიმდევრობით: მთამსვლელთა 6- კაციანი ჯგუფის
მიერ ბაწრის კიბეების გამოყენებით ხდება ქვედა მოედნის ნიშნულზე ასვლა და
კლდის დაბურღვა სპეციალური ქვის საბურღი ელ-ბურღის გამოყენებით.
ნახვრეტების რაოდენობა კლდეზე - 18 ცალი, ნახვრეტის დიამეტრი - 36 მმ,
ნახვრეტის სიღრმე - 300 მმ. ამის შემდეგ ნახვრეტებში ხდება 32 მმ-იანი დიამეტრისა
და 400 მმ-ის სიგრძის არმატურების ჩასმა უროს გამოყენებით. კლდის ზედაპირის
ზემოთ დარჩენილ არმატურებზე ელექტროშედულებით შენდება ლითონის
კარკასი 34 მმ-იანი დიამეტრის არმატურებისა და 55x55 კუთხოვანების
გამოყენებით. ამის შემდეგ ლითონის კარკასის ჰორიზონტალურ ზედაპირზე
მიჯრით ლაგდება ხის კოჭები ზომით 0,08მx0,15მx6მ და იკოჭება ფიცრებით.
მოედანს გარშემო სამი მხრიდან უკეთდება ლითონის მოაჯირი გვერდებსა და
უკანა მხარეს. მოედანი, წვიმისა და სიციხისგან დასაცავად, გადახურულია
ბრეზენტით.

- ზედა მოედნის მოწყობა 1744,66 ნიშნულზე ხდება ქვედა მოედნის გამოყენებით
- ქვედა მოედნის მოწყობის ანალოგიურად.

2) შრომითი რესურსები

(10 კაც x 15 დღ x 12 სთ) x A =

სადაც A არის შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრული მუშის
საათური ანაზღაურება ლარებში.

3) სამშენებლო მანქანები და მოწყობილობები

- | | |
|--|-----------|
| - ელ-შედულების გენერატორი | - 1 ცალი; |
| - გენერატორი 4,5 კვტ სიმძლავრის | - 1 ცალი; |
| - გენერატორი 2,4 კვტ სიმძლავრის | - 1 ცალი; |
| - ელ-მოსანგრევი ჩაქუჩი | - 1 ცალი; |
| - ელ-ბურღი | - 1 ცალი; |
| - „ბალგარკა“ | - 2 ცალი; |
| - ელ-შედულების აპარატი | - 1 ცალი; |
| - ქვის საბურღი სპეციალური ელექტრობურღი | - 1 ცალი; |
| - გორგოლაჭი დიამეტრით 180 მმ | - 2 ცალი; |

4) მასალები

- „ბალგარკის“ საჭრელი სახეხი ქვები
- კლდის სანგრევი პიკები
- ლითონის საბურღი სვერლოები, დიამეტრით 8; 10; 12 მმ
- ქვის საბურღი სპეციალური სვერლოები დიამეტრით 36 მმ
- ელექტროდი დიამეტრით 4 მმ
- კაპრონის ბაწარი დიამეტრით 18 მმ
- ელ-გამტარი: სპილენძის, მოქნილი, კვეთი 4მ²
- ფოლადის ბაგირები დიამეტრით 18 მმ
- ფოლადის ბაგირები დიამეტრით 12 მმ
- ქვის საჭრელი ალმასის დისკები
- არმატურა, დიამეტრით 32 მმ
- არმატურა, დიამეტრით 16 მმ
- კუთხოვანა 55x55
- ფიჭვის კოჭები, ზომები 0,08მ x0,015მx5მ
- ფიჭვის ფიცარი, ზომები 0,05x0,15მx5მ
- ლურსმანი სიგრძით 120 მმ
- ბრეზენტი, ზომები 4მx6მ
- ბენზინი
- 30 ცალი
- 5 ცალი
- 5-5 ცალი
- 3 ცალი
- 3 ყუთი
- სიგრძე 300 მ
- სიგრძე 200 მ
- 150 მ
- 250 მ
- 3 ცალი
- 70 მ
- 80 მ
- 24 მ
- 1 მ³
- 0,5 მ³
- 2 კგ
- 2 ცალი
- 400 ლიტ

2. IX-X კატეგორიის კლდის ქანზე, მდ. კლიჩის მარჯვენა

სანაპიროზე 1666,66 და 1669,66 ნიშნულზე სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოების ჩასატარებელი

მოედნის მოსაწყობად 1666,66 და 1669,66 ნიშნულზე სამუშაოს მოცულობები, შრომითი რესურსები და მასალების ხარჯი იგივეა, რაც იყო მოედნების მოსაწყობად მდ. კლიჩის მარცხენა სანაპიროზე. რაც შეეხება სამშენებლო მანქანებსა და მოწყობილობებს, უნდა მოხდეს მათი გადატანა მარცხენა სანაპიროდან მარჯვენა სანაპიროზე.

3. მოედნებზე მასალებისა და მოწყობილობების ასატანი მექანიზმის მოწყობა

ა) მდ. კლიჩის მარცხენა სანაპიროზე 1741,66 და 1744,66 ნიშნულებზე

1) მექანიზმი შედგება:

- მზიდი უძრავი და მოძრავი საწევი ბაგირების, ურიკასა და საკიდისაგან. ამ უკანასკნელზე ეკიდება ასატანი ტვირთი;
- მზიდი ბაგირის ქვედა ბოლო ტალის საშუალებით ჩამაგრებულია გზასთან კლდის ქანში ჩასმულ ანკერთან, ხოლო ზედა ბოლო ქვედა მოედნის ზემოთ 1,8 მ-ის სიმაღლეზე, ასევე ჩამაგრებულია კლდის ქანში ჩასმულ ანკერთან. უძრავ ბაგირში დაჭიმულობა ხორციელდება ტალის მეშვეობით;
- უძრავ ბაგირზე ურიკას საკიდთან ერთად გადაადგილება ხდება საწევი ბაგირით, რომლის ერთი ბოლო ჩაბმულია მოედანზე ასატან ტვირთთან, ხოლო მეორე ბოლო ქვედა მოედნის თავზე 2,2 მეტრის სიმაღლეზე კლდეზე დაკიდებულ გორგოლაჭში გასვლის შემდეგ ჩამოდის პირველ ბოლოსთან;
- ტვირთის აწევა ხდება საწევი ბაგირის თავისუფალი ბოლოს ქვევით ჩამოქაჩვით;
- ტვირთის ასატანი მექანიზმის მოწყობა ზედა მოედანზე ხდება ქვედა მოედანზე მისი მოწყობის ანალოგიურად.

2) შრომითი რესურსები

(5 კაც x 4 დღ x 12 სთ) x A =

3) დამატებითი მანქანები და მოწყობილობები

- | | |
|--|------------|
| - ხელის ტალი, ტვირთამწეობით 3,2 ტონა | - 2 ცალი |
| - ურიკა ოთხთვალიანი | - 1 ცალი |
| - საკიდი ტვირთების დასაკიდად | - 1 ცალი |
| - ბლოკები ბაგირის მიმართულების შესაცვლელად 1 და 2 ტ-იანი | - 2-2 ცალი |

ბ) მდ. კლიჩის მარჯვენა სანაპიროზე, მოედნებზე 1666,66 და 1669,66 ნიშნულებზე მასალებისა და მოწყობილობების ასატანი მექანიზმების მოწყობაზე სამუშაოს მოცულობები, შრომითი რესურსები და დამატებითი მასალები იგივეა, რაც მარცხენა სანაპიროზე მდებარე მოედნების შემთხვევაში. რაც შეეხება დამატებით მანქანებსა და მოწყობილობებს, ისინი გადატანილი უნდა იქნენ მარცხენა სანაპიროდან მარჯვენა სანაპიროზე.

4. წყლის მიჰმანა საბურღ აბრეგატამდე

ა) მარცხენა სანაპიროზე 1741,66 და 1744,66 ნიშნულზე სამუშაო მოედნებიდან დაახლოებით 650 მეტრის დაშორებით არსებული ხევიდან წყლის თვითდინებით მიყვანა საბურღ აგრეგატამდე ხდება 50 მმ-იანი პლასტმასის მილის გამოყენებით.

1) შრომითი რესურსი

$$(3 \text{ კაც} \times 4 \text{ დღ} \times 12 \text{ სთ}) \times A =$$

2) მასალები

- წყლის შემკრები პლასტმასის ძაბრი 45 მმ-იანი დიამეტრის მილით
- პლასტმასის მილი 50 მმ-იანი დიამეტრით - სიგრძით 300 მეტრი

